საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 21/30
23/10/2020

21-30-4-202010231643

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შუალედური გამოცდების ჩატარების შესახებ

ვბრძანებ:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შუალედური გამოცდები ჩატარდეს მხოლოდ e-learning აკადემიური პლატფორმისა და ZOOM -ის მეშვეობით 9 ნოებრიდან - 14 ნოემბრის ჩათვლით;

2. შუალედური გამოცდების ჩატარების ფორმატი:

1) ზეპირი გამოცდა "ზუმში" ბილეთებით მცირერიცხოვან ჯგუფებში: 1 სტუდენტის გამოკითხვა - მინიმუმ 15 წუთი;
2) წერითი გამოცდა ბილეთებით: 1 ბილეთი - მინიმუმ 4 საკითხით ბაკალავრებისთვის და მინიმუმ 2 საკითხით მაგისტრანტებისთვის; გამოცდის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 2 სთ.
3) ღია, ან კომბინირებული (დახურული და ღია) კითხვები/ტესტები, გამოცდის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 1 სთ.;
4) ესე 3-6 გვერდი ერთდღიანი ფორმატი, მაქსიმუმ 5 სთ, მოწმდება პლაგიატზე.

3. ლექტორებმა საგამოცდო ტესტები/ბილეთები უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით, კერძოდ:

- ტესტის 2-3 ვარიანტი;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

- 10 ბილეთი საბაკალავრო საგნისთვის;
- 10 ბილეთი სამაგისტრო საგნისთვის.

შენიშვნა: ტესტების ვარიანტებსა და ბილეთებში საკითხები არ უნდა მეორდებოდეს.

4. “ZOOM” -ში გამოცდის ჩატარებისას სავალდებულოა ჩანაწერის გაკეთება;

5. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა;

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

თამარ დოლბაია

დეკანი
ადმინისტრაცია